ხელშეკრულება № 1/69

ქ. თბილისი "5" სექტემბერი 2013წ.

სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, მისი დირექტორის მოადგილის მაგდა ბოლოთაშვილის სახით, შემდგომში "მყიდველი", ერთის მხრივ და შპს „გუდვილი", მისი გენერალური დირექტორის, ნუგზარ მაღულარიას სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" მეორეს მხრივ დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამარტივებული შესყიდვის გზით, ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, 6.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს დანართი №1-ში მოცემული პროდუქცია.

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 33700000, 39800000.

1.3. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტი.

1.4. მიმწოდებელი პერიოდულად, მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად აწვდის საქონელს მყიდველს, ხოლო მყიდველი იღებს და იხდის მის ღირებულებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

1.5. ამ ხელშეკრულებაში საქონელს წარმოადგენს დანართი №1-ში მოცემული საქონელი.

2. საქონლის მიწოდების ვადები და წესი

2.1 საქონლის მიწოდების ვადებზე შეთანხმება ხდება ყოველი კონკრეტული პარტიისათვის.

2.2 საქონლის მიწოდების ადგილია შ.პ.ს. „გუდვილის" სუპერმარკეტები.

2.3 საქონლის მიღებას ახორციელებს საქართველოს ერონული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

2.4 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მიმწოდებელი:

3.1.1 ვალდებულია გადასცეს მყიდველს მოთხოვნაში მითითებული საქონელი წინასწარ დადგენილ ვადებსა და ფასში.

3.1.2 მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად მყიდველისათვის ანგარიშფაქტურით ან სასაქონლო ზედნადებით საქონლის გადაცემის მომენტიდან.

3.1.3 საქონლის გადაცემასთან ერთად მიმწოდებელი მყიდველს გადასცემს საქონლის მიწოდებისათვის აუცილებელ ყველა საჭირო დოკუმენტს, რაც მოითხოვება მყიდველის მიერ გაკეთებულ მოთხოვნაში მითითებულ საქონელზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.1.4 მიმწოდებელი მყიდველს გადასცემს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელს.

3.2 მყიდველი:

3.2.1 ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვული პირობებით.

3.2.2 მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას მყიდველი ამოწმებს მისი დასახელების, რაოდენობის და ხარისხის შესაბამისობას მის მიერ გაკეთებულ მოთხოვნასთან.

3.2.3 შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის ნაკლის გონივრულ ვადაში გამოსწორება ან მისი შეცვლა ხარისხიანი საქონლით.

3.2.4 საქონლის გადაცემის მომენტიდან მისი დაზიანების ან შემთხვევითი დაღუპვის რისკი მთლიანად გადადის მყიდველზე.

4. ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება – **127.83 (ას ოცდაშვიდი ლარი და 83 თეთრი) ლარით.** კერძოდ 33700000 – 116.88 ლარი და 39800000 – 10.95

4.2 ანგარიშსწორება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

4.3 ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქონლის მიწოდების შემდეგ, საჭირო დოკუმენტაციის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში;

4.4 საქონლის საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შეწყვეტა

5.1 ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა დამატებითი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილი ცვლილება ან დამატება ბათილია შეტანის მომენტიდან.

5.2 ყველა დამატებითი შეთანხმება ან სხვა რაიმე საბუთი, რაც მხარეთა მიერ მიღებულ იქნება ამ ხელშეკრულების მოქმედებასთან ან ხელშეკრულების ტექსტიდან გამომდინარე, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.3 მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის საკითხს განიხილავს სასამართლო.

6. ხელშეკრულების ვადები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.

6.2 ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს თუ ერთერთი მხარე ამის თაობაზე შეატყობინებს მეორე მხარეს 1 (ერთი) დღით ადრე წერილობით.

7. ფორს-მაჟორი

7.1 თუ ვალდებულების შესრულება ფერხდება ან შეუძლებელია ერთ-ერთი მხარისათვის დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო (ხანძარი, წყალდიდობა, ომი, საომარი მოქმედებები, სახელმწიფო აქტი და ა.შ.), მხარეები დროებით, ამგვარი გარემოებების ლიკვიდაციამდე თავისუფლდებიან

პასუხისმგებლობისაგან. დაუძლეველი ძალის დადგომის ფაქტი უნდა დაფიქსირდეს წერილობით.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი და პირობა, გაგებულია მათ მიერ სწორად და ეთანხმებიან მათ.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად ყოველი მხარისათვის ცალ-ცალკე. ორივე ეგზემპლიარს გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი:
შპს "გუდვილი"

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№9
საიდენტ. კოდი: 206343991
ტელ: +(995 32) 242300
ფაქსი: +(995 32) 242301
ანგ. ანგარიში: GE61 TB36 15336020100004
"თიბისი ბანკი", თბილისის №7 ს/ ცენტრი
ბანკის კოდი: TBCBGE22

გენ. დირექტორი:
ნუგზარ მაღულარია

ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მყიდველი:
სსიპ საქართველოს ეროვნული
საინვესტიციო სააგენტო
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8
საიდენტ. კოდი: 204990082
ტელ: 2 28 11 97

ანგ. ანგარიში: 200122900
ბანკი: ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი: 220101222

დირექტორის მოადგილე:
მაგდა ბოლოთაშვილი

ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დანართ №1

ფასების ცხრილი

დასახელება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება
ხელსახოცი	33711430	6	1.15	6.90
ტუალეტის ქაღალდი 16ც.	33761000	2	15.99	31.98
პირსახოცი 2 ც	33763000	8	2.45	19.60
თხ. საპონი	33711900	16	3,65	58.40
ჰაერის გამწმენდი	39811100	2	3,85	7,70
ჭურჭლის სარეცხი საშ.	39832000	1	3,25	3,25

ჯამი 127,83 ლარი

ნუგზარ მაღულარია ----------

დირექტორი
შ.პ.ს. „გუდვილი"

მაგდა ბოლოთაშვილი ----------

დირექტორის მოადგილე
სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო"

ქ. თბილისი 5 სექტემბერი 2013
წელი

მიღება-ჩაბარების
აქტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, მდებარე ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8 (შემდგომში "შემსყიდველი"), სააგენტოს დირექტორის მოადგილის მაგდა ბოლოთაშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს „გუდვილი", მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №9 (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ნუგზარ მაღულარიას სახით, თანახმად მხარეთა შორის გაფორმებული 05.09.2013 წლის 1/69 ხელშეკრულებისა, აღნიშნული აქტით ვადასტურებთ, რომ 2013 წლის 5 სექტემბერს „შემსყიდველმა" ჩაიბარა და "მიმწოდებელმა" მიაწოდა, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი საქონელი, რისმა ღირებულებამაც შეადგინა 127.83 (ას ოცდაშვიდი ლარი და 83 თეთრი) ლარი. აქტი სწორია, რაზედაც ვაწერთ ხელს.

მიმწოდებელი:
შპს "გუდვილი"

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№9
საიდენტ. კოდი: 206343991
ტელ: +(995 32) 242300
ფაქსი: +(995 32) 242301
ანგ. ანგარიში: GE61 TB36 15336020100004
"თიბისი ბანკი", თბილისის №7 ს/ ცენტრი
ბანკის კოდი: TBCBGE22

გენ. დირექტორი:
ნუგზარ მაღულარია

ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მყიდველი:
სსიპ საქართველოს ეროვნული
საინვესტიციო სააგენტო
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8
საიდენტ. კოდი: 204990082
ტელ: 2 28 11 97

ანგ. ანგარიში: 200122900
ბანკი: ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი: 220101222

დირექტორის მოადგილე:
მაგდა ბოლოთაშვილი

ხელმოწერა ----------

ბ.ა.